N 16 15/12/2017

ოქმი N4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2017 წელი, 14 დეკემბერი
ქ. ოზურგეთი
12.00 სათი -14.00 საათი

თავმჯდომარეობდნენ: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-გ.ღურჯუმელიძე; მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: გ. ჩაგანავა, ლ. ბიგვავა, გ. კილაძე, ე. გორდელაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ. არუშიძე, ლ .მგელაძე, შ. გოგიბერიძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ჩხიკვიშვილი, ქ. ვასაძე, ბ. დოლიძე ,ხ. ცერცვაძე, გ. ჩავლეშვილი, თ. გოგუაძე, ვ. ჩიგოგიძე, მ. გოგოტიშვილი, დ. მამალაძე, ვ. ბერიძე, გ. მდინარაძე, ბ. ქათამაძე, ლ. ნინიძე, გ .ჩავლეშვილი, მ. ზოიძე, ვლ. ღლონტი, რ. სკამკოჩაიშვილი, ვ. ნიჟარაძე, ვ. ჩხაიძე, გ .თოიძე, ბ. თოიძე, ლ. კილაძე, ალ .ღლონტი, ვლ .ჩავლეშვილი, ჯ. თავართქილაძე, თ .ტუღუში, თ. ბურჭულაძე, დ. ჭაკნელიძე, მ. ბერიძე, ლ. სიჭინავა, ნ.ორაგველიძე, შ.თავდიშვილი,პ.კიღურაძე,
მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი მუშაკები.
მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები,საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.
სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე -46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 42-მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას და საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის დღის წესრიგი,რომელიც

დაამტკიცეს 41- ხმით.

აღნიშნა, რომ როგორც წესი, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ გაკეთდება განცხადებები.

საკითხების განხილვის დაწყებამდე საკრებულოს თავმჯდომარემ დ.დარჩიამ საკრებულოს წევრებსა და დამსწრეთ მიაწოდა ინფორმაცია, რომ მე-3-ე მოწვევის საკრებულოსთან ნაყოფიერად მოღვაწეობდა საზოგადოებრივი დარბაზი, სასურვილია მისი შექმნა მე-4-ე მოწვევის საკრებულოსთან და მოუწოდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლებს სურვილის შემთხვევაში დარეგისტრირდნენ საკრებულოს აპარატში.

საკითხების განხილვის დაწყებამდე მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ-ე.გორდელაძემ საკრებულოს აცნობა,რომ შეიქმნა ორი ფრაქცია: „ოზურგეთის მომავლისათვის“(თავმჯდომარე-ლ.მგელაძე) და „ოზურგეთელ მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“(თავმჯდომარე-შ.გოგიბერიძე).

დღის წესრიგი

8.1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 41-ხმით

9.2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ'' - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ჩაგანავა

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 41-ხმით

10.3.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ'' -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 41-ხმით

11.4.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ'' - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 42-ხმით

12.5. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ'' - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 42-ხმით

13.6. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა დაბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ'' - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი:გოჩა კილაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 42-ხმით

14.7. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 42-ხმით

15.8.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 42-ხმით

ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს წევრმა დ.მამალაძემ დასვა შეკითხვა-როგორ იქნება ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ქონების (ყოფილი ჩაის ფაბრიკების ბინების) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემისა და მოქალაქეებზე საკუთრებაში გადაცემის პრობლემის გადაჭრის გზები, განუმარტეს, რომ ასეთი პრაქტიკა დანერგილი იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუშაობაში.

16.9. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 42-ხმით

17.10.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 42-ხმით

18.11.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 42-ხმით

19.12.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 42-ხმით

20.13. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 42-ხმით

საკითხის განხილვისას საკრებულოს წევრმა ნ.ორაგველიძემ განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა სამსახურის დებულებაში ასახულიყო ახალგაზრდობის დემოგრაფიული პრობლემებზე ზრუნვის საკითხი, მისცეს განმარტება, რომ ასეთი მუხლი ჩადებულია მერიის სოციალურ და ჯანდაცვის სამსახურის დებულებაში.

21.14. **,,**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 42-ხმით

საკითხის განხილვისას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ

გ.ღურჯუმელიძემ ითხოვა დებულების მე-6-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ქვეპუნქტიდან ამოეღოთ სიტყვები“ უკიდურესად შეჭირვებული ნაწილი“.

22.15.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 42-ხმით

საკრებულოს სხდომამ ცნობად მიიღო სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ე.გორდელაძის ინფორმაცია საკრებულოში ორი ფრაქციის: „ოზურგეთის მომავლისათვის“(თავმჯდომარე-ლ.მგელაძე) და “ოზურგეთელ მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის”(თავმჯდომარე-შ.გოგიბერიძე).

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ საკრებულოს წევრმა ლ.სიჭინავამ განაცხადა, რომ კარგი იქნება თუ მერია გაითვალისწინებს გამგეობისა და წინა საკრებულოს ინიციატივას და იმ მოსწავლეებს, რომელთაც მიიღეს 100% გრანტი- დააჯლდოებს 3000 ლარით, ხოლო აღმზრდელ სკოლას 1000 ლართ.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“თავმჯდომარემ-ტ.არაშიძემ განაცხადა, რომ ფრაქციის სხდომაზე იმსჯელეს მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო მოსამსახურეების მობილობის პროცესის დროულად და კანონიერად განხორციელებაზე. ვითარება საგანგაშოა იმ თვალსაზრისით, რომ ადმინისტრაციულ ერთეულებში სრულიად მოშლილია საქმისწარმოება და მოსახლეობას პრობლემები ექმნება სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებაში, რაც მათ სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

მერის მრჩეველმა -კ.კიღურაძემ განაცხადა, რომ იზიარებენ ფრაქციის თავმჯდომარის აზრს და შეეცდებიან რაც შეიძლება ადრე დააკომპლექტონ მერიის შტატები, ხოლო დარჩენილ ვაკანსიებზე მასალები გადააგზავნონ საჯარო სამსახურის ბიუროში.

ფრაქცია „ოზურგეთელ მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“თავმჯდომარემ - შ.გოგიბერიძემ ილაპარაკა სამკურნალო ცენტრ „მედალფაში“ შექმნილ სტუაციაზე და ითხოვა საკრებულოს სახელით მისი დამაარსებლისათვის-პაატა კურტანიძისათვის წერილის გაგზავნა, რომ უზრუნველყოს საახალწლოდ მედპერსონალისათვის ოქტომბრის თვიდან არსებული სახელფასო დავალიანების დაფარვა. საკრებულო ამ წინადადებას დაეთანხმა.

საკრებულოს წევრმა ბ.ქათამაძემ განაცხადა, მედპერსონალისათვის ხელფასების გადახდა იმიტომ ვერ განხორციელდა, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ დაზღვევის თანხები დროზე ვერ გადარიცხა.

საკრებულოს წევრმა ხ.ცერცვაძემ-დიდი საზოგადოებრივი ინტერესის გამო მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსს-ლ.თავაძეს შეეკითხა-შეეფერება თუ არა სიმართლეს ნატალია ხომერიკის ერთ დღეს მერიის სამსახურის უფროსად დანიშვნის და მეორე დღეს გათავისუფლებისა და განყოფილების უფროსად დანიშვნის ფაქტი. რაზეც

ლ.თავაძემ განაცხადა, რომ ბრძანებაზე ხელი მოწერილი იყო, მაგრამ ძალაში არ იყო შესული, ამ განმარტებამ არ დააკმაყოფილა არც კითხვის ავტორი და არც საკრებულოს წევრები.

საკრებულოს წევრმა ნ.ორაგველიძემ განაცხადა, რომ კარგი იქნება თუ მერის შესაბამის სამსახურში დანიშნავენ ეკოლოგიის სპეციალისტს.

საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო